



გადაწყვეტილება

**შპს „მეტრომარტი“ (ს/ნ 401975662) 2024 წლის 04 იანვრის საჩივრის საფუძველზე
მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ**

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1 მომჩივანის პოზიცია

2024 წლის 04 იანვარს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „მეტრომარტი“ (ს/ნ 401975662) საჩივარი (რეგ. N01/18) შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404382921) და შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“ (ს/ნ: 405485915) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), მე-7 (კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) და მე-11³ (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საჩივარში შპს „მეტრომარტი“ (შემდგომში - „მომჩივანი“) მიუთითებს, რომ მომჩივანს 2015 წლიდან საიჯარო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მფლობელობაში არსებულ სავაჭრო ცენტრ „ისთ პოინტთან“, სადაც იგი ეწევა ტექნიკის რეალიზაციას სავაჭრო ბრენდით მეტრომარტი (“Metromart”). ფართი მომჩივანს „თეთრი კარკასის“ სახით ჩაბარდა, რის შემდგომაც მის მიერ განხორციელებულ იქნა არაერთი ინვესტიცია. საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის პერიოდისთვის მომჩივანს წარმოექმნა რიგი სირთულეები COVID პანდემიის გამო. მიუხედავად ამისა, შპს „სიბიდი დეველოპმენტთან“ შეთანხმებით, საიჯარო ხელშეკრულება გაგრძელებულ იქნა 2025 წლის ბოლომდე. 2022 წლის აგვისტოში შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ მიმართა მომჩივანს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტასთან დაკავშირებით. მხარეებს შორის შედგა კომუნიკაცია და მომჩივანს კონტრაქტის გაგრძელების პირობად წარედგინა საიჯარო ფასის გაზრდა, რასაც ის არ დაეთანხმა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის დაცვა.



მომჩივანის განცხადებით, შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ მიმართა რიგ ქმედებებს მომჩივანის სავაჭრო ცენტრიდან განდევნის მიზნით. კერძოდ, 2023 წლის 10 თებერვალს მომჩივანს სავაჭრო ობიექტში შეეზღუდა ელექტროენერჯის მიწოდება, რაზედაც მან მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს „სიბიდი დეველოპმენტისგან“ საიჯარო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დამქირავებლის უფლებების უზრუნველყოფა. სასამართლომ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ განჩინებით, დაავალდებულა შპს „სიბიდი დეველოპმენტი“ დავის დასრულებამდე აღედგინა მომჩივანისთვის ელექტროენერჯის მიწოდება.

ამის შემდგომ, კერძოდ, 2023 წლის მარტში შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ წამოიწყო სავაჭრო ობიექტის წინ არსებული სავალი ნაწილის სარემონტო სამუშაოები, რითაც შეიზღუდა სავაჭრო ობიექტში კლიენტთა ნაკადი და მოხდა მისი პრაქტიკული ბლოკირება. მომჩივანმა მიმართა საპატრულო პოლიციას ფაქტის დასაფიქსირებლად და სასამართლოს მორიგი განჩინების საფუძველზე შპს „სიბიდი დეველოპმენტს“ აეკრძალა ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუშლიდა მომჩივანის სავაჭრო ობიექტის სრულფასოვან ფუნქციონირებას.

მომჩივანის განცხადებით, 2023 წლის 29 სექტემბერს, შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ (არასამუშაო საათებში) დაიწყო სავაჭრო ობიექტის თავზე განთავსებული სარეკლამო აბრის დემონტაჟი, რომელიც 2015 წლიდან იყო განთავსებული. აღნიშნული ქმედება აღკვეთილ იქნა ადგილზე გამოძახებული საპატრულო ეკიპაჟის მიერ. შემდგომში, შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ მიმართა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს ნებართვის გარეშე არსებული სარეკლამო აბრის დემონტაჟთან დაკავშირებით. მომჩივანს, თავის მხრივ, შეტანილი აქვს სარეკლამო აბრის პროექტი აღნიშნულ უწყებაში.

ამასთან, მომჩივანის პოზიციით, შპს „სიბიდი დეველოპმენტი“ უკანონოდ გაურიგდა მომჩივანის უშუალო კონკურენტი შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“ მისი სავაჭრო ცენტრიდან განდევნის მიზნით. მომჩივანის განცხადებით, აღნიშნული ქმედების პირდაპირ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ შეგებებულ სარჩელზე დართული შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“ -თან დადებული საიჯარო ხელშეკრულება და წერილი, სადაც შპს „სიბიდი დეველოპმენტი“ პირდაპირ მიუთითებს, რომ შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ ცალმხრივად მხოლოდ იმიტომ შეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება შპს „მეტრომარტთან“, რომ საიჯარო ფართი გადაეცა შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯისთვის“ და, აღსანიშნავია რომ, იჯარის თანხა ზუსტად ემთხვევა მომჩივანის ქირის თანხას და ადგილი არ აქვს თითქოსდა საიჯარო ქირის გაზრდას, რითაც მოპასუხეები ცდილობენ მომჩივანის საქმიანობის პარალიზებას, აყენებენ ქონებრივ და რეპუტაციულ ზიანს და არღვევენ სამოქალაქო კოდექსის და კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

1.2 შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ პოზიცია

სააგენტოს 2024 წლის 08 იანვრის წერილებით (რეგ. №02/7 და №02/8) საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „სიბიდი დეველოპმენტს“ და შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ 2024 წლის 1 თებერვალს სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია (რეგ. N01/618) განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ განცხადებით, 2015 წლის 9 სექტემბერს მასსა და მომჩივანს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) მოპასუხის მფლობელობაში არსებული სავაჭრო ცენტრ „ისთ პოინტი“ (შემდგომ - „ცენტრი“) კომერციული ფართის იჯარის თაობაზე. იჯარის ვადა განისაზღვრა 5 წლით, ხოლო 2020 წლის 13 ნოემბერს, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ვადა გაგრძელდა 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხარეები ერთობლივად შეთანხმდნენ იჯარის ცალმხრივად შეწყვეტის თანაბარ პირობებზე, რაც ძალაში იყო იჯარის ვადის ყველა ეტაპზე და გაწერილია ხელშეკრულების 24.6 მუხლში.

2022 წლის 10 აგვისტოს მოპასუხემ წერილობით მიმართა მომჩივანს იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული 3 თვის ვადის ნაცვლად, მომჩივანისთვის შეთავაზებულ იქნა ბევრად უფრო მოქნილი პირობები სამართლებრივი ურთიერთობების დასრულების, დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისა და სამომავლო გეგმების დასახვის თვალსაზრისით, კერძოდ, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ვადად მომჩივანს განესაზღვრა 6 თვე.

გარდა ამისა, მოპასუხე აღნიშნავს, რომ საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში (2016-2021 წლებში) მომჩივანმა მრავალჯერ განახორციელა კომუნიკაცია იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული სავალდებულო გადასახადების შემცირებასთან დაკავშირებით, რაც მოპასუხის მიერ გათვალისწინებულ იქნა და რის შედეგადაც მომჩივანმა მიიღო მნიშვნელოვანი ფინანსური შეღავათი, რაც, თავის მხრივ, მოპასუხისთვის წარმოადგენდა ფინანსურ ზიანს.

ამასთან, მოპასუხის განცხადებით, მომჩივანი სისტემატურად არღვევდა იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გადასახადების გადახდის ვადებს და აღნიშნული

დარღვევები, ფინანსური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენდა გარკვეული რაოდენობის ჯარიმის/პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველს.

შედეგად, მომჩივანი ვალდებული იყო 2023 წლის 10 თებერვლისთვის საიჯარო ფართში ოპერირება დაესრულებინა და 15-დღიან ვადაში დაებრუნებინა აღნიშნული ფართი საწყის (თეთრი კარკასის) მდგომარეობაში. მიუხედავად ამისა, მომჩივანი არაკეთილსინდისიერად და არამართლზომიერად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, კვლავ აგრძელებს აღნიშნულ ფართში ოპერირებას.

რაც შეეხება შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯი“- სთან შეთანხმებას, შპს „სიბიდი დეველოპმენტი“ აცხადებს, რომ მომჩივანთან თითქმის 7 წლიანი საიჯარო სამართლებრივი ურთიერთობების განმავლობაში, ის არაერთხელ გახდა იძულებული მომჩივანთან გაეფორმებინა ფინანსური ზიანის მომტანი შეთანხმებები, რომელთაც, თავის მხრივ, მომჩივანი სისტემატურად არღვევდა, შედეგად დღის წესრიგში დადგა არასტაბილურ პარტნიორთან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისა და ალტერნატიული მოიჯარის მოძიების საკითხი. მისივე განცხადებით, მომჩივანი ყოვლად დაუსაბუთებლად ამტკიცებს შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯი“- სთან წინასწარ უკანონო გარიგებაში შესვლას, ვინაიდან მასსა და შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯი“-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2023 წლის 7 თებერვალს, ანუ, მომჩივანთან საიჯარო ხელშეკრულების გაწყვეტამდე 3 დღით ადრე, ხოლო შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯი“- სთვის საიჯარო ფართის გადაცემის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 20 მარტი, რაზედაც ორივე მხარეს გააჩნდა სრული უფლება გაეფორმებინა ხელშეკრულება და თავად განესაზღვრა ხელშეკრულების პირობები.

მოპასუხე აცხადებს, რომ მისთვის სრულიად გაუგებარია თუ რა საფუძველით მიმართა მომჩივანმა სააგენტოს და რით ასაბუთებს რომელიმე მხარის მიერ კანონის სავარაუდო დარღვევას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქმე, მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი შემადგენლობით, არც ერთ ნაწილში არ წარმოადგენს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში განხილვის საგანს და საქმის განხილვა, კანონის შესაბამისად, უნდა გაგრძელდეს სასამართლოში.

1.3. შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“ პოზიცია

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯიმ“ 2024 წლის 6 თებერვალს სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია (რეგ. N01/715) განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“ განცხადებით, მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებული ფაქტები მათთვის უცნობია და წარმოდგენილი მსჯელობა არ იძლევა

განცხადებაში მოტანილი დასკვნის გაკეთების საშუალებას მათ მიერ კანონის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. მასში ფორმალურადაა მითითებული კანონის მუხლები და მომჩივანი საერთოდ არ საუბრობს დარღვევის სამართლებრივ შინაარსზე.

მათივე განცხადებით, შპს „სიბიდი დეველოპმენტთან“ ხელშეკრულების გაფორმებამდე, კომპანია საქართველოს მასშტაბით ორ მაღაზიას ფლობდა და აპირებდნენ ქსელის გაფართოებას. ერთ-ერთ ლოკაციად სავაჭრო ცენტრი „ისთ პოინტი“ განიხილებოდა, რაზედაც თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება. მათ ეცნობათ, რომ მომჩივანი ტოვებდა სავაჭრო ცენტრს და აღნიშნული ლოკაცია სრულიად მისაღები იყო შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯისთვის“. აღსანიშნავია, რომ მოპასუხისთვის არ იყო ცნობილი მხარეთა შორის რაიმე გაუგებრობის ან კონფლიქტის შესახებ. ეკონომიკური აგენტი ასევე აღნიშნავს, რომ, თუ მოპასუხეები (შპს „სიბიდი დეველოპმენტი“ და შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯი“) მომჩივანის წინააღმდეგ ერთობლივად გეგმავდნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მიერ შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების წარდგენა სასამართლოში აზრს მოკლებული იქნებოდა.

1.4. შპს „მეტრომარტის“ პასუხი მხარეების პოზიციებთან დაკავშირებით

2024 წლის 21 თებერვლის N01/1019 წერილით მომჩივანმა წარმოადგინა მოსაზრებები 2024 წლის 08 იანვრის (რეგ. №02/7 და №02/8) წერილებში შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ და შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“ გამოხატულ პოზიციებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, მოპასუხე მხარეთა პოზიციებში დაფიქსირებული ყველა მსჯელობა არის თავის მართლების უშედეგო მცდელობა, რითაც ისინი უფრო თვალსაჩინოდ ხდიან მათი უკანონო გარიგების და კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტს. მოპასუხე კვლავ აქცენტირებს შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მხრიდან საიჯარო ხელშეკრულებების პირობების დარღვევაზე და მათი არასათანადოდ შესრულების თაობაზე. ასევე აცხადებს, რომ შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მიერ წარმოდგენილი შეღავათები განპირობებული იყო რიგი ობიექტური პირობებით, მათ შორის კოვიდ პანდემიით და აღნიშნულ საჩივართან არანაირი შემხებლობა არ აქვს. მოპასუხეების მხრიდან წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნები არის ცალმხრივად დაკვეთილი, არ ასახავს ობიექტურ სურათს რეალურ ხარჯებთან დაკავშირებით, თანხა გაანგარიშებულია სამ წლიანი ხანდაზმულობით და არ ასახავს ფორსმაჟორული გარემოებებით გამოსაკლებ თანხებს.

ასევე, მომჩივანის განცხადებით, საჩივარში მითითებული გარემოებები ორივე მოპასუხემ წერილობითი პასუხებით დაადასტურეს, რითაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მოპასუხეების მხრიდან კანონის მე-6, მე-7 და მე-11³ მუხლების დარღვევის ფაქტი და

იგი მოითხოვს სააგენტოსგან საქმის ფაქტობრივი გარემოებების სათანადო სამართლებრივ შეფასებას.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს „დომინანტურ მდგომარეობას“. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლების ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციაზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა (შემდგომ – შეთანხმება), კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

კანონის მე-11³ მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ხოლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულვებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - „პროცედურა“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის

საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს აღნიშნულ ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძველები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველებს, ისინი გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33² მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.¹ ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. პროცედურის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტო საჩივრის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ შესაბამისობას კანონით, პროცედურის მე-5 მუხლითა და დანართით

¹ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მაისის №04/113 გადაწყვეტილება („გორის ტაქსების საქმე II“), გვ. 10.

გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, თუ რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე (მოწმდება სრულყოფილი საჩივრის წარმოდგენიდან 30 სამუშაო დღეში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძველები, სახეზეა თუ არა მხარის მიერ მითითებული ნორმის შემადგენლობა და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით, საჩივრის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

შესაბამისად, მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძველის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია პროცედურის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მომჩივანისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ, ფასდება მომჩივანის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე, როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.²

ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყებისათვის მნიშვნელოვანია გონივრული ეჭვის არსებობა კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ იძლევა გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი

² საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 10.

დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.³ ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება არ არის გონივრული.⁴ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.⁵

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მომჩივანი განიხილება მხარედ და მას ეკისრება მტკიცების ტვირთი. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავად მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, უთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახეს და ატარებს როგორც მოპასუხის სათანადოობის, ისე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს.⁶ აღსანიშნავია, რომ დავის საგნის ან კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედების იდენტიფიცირება და მისი მისადაგება კანონის კონკრეტული მუხლის/მუხლების შემადგენლობასთან წარმოადგენს უპირველესად მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მტკიცების ტვირთის შემადგენელ ნაწილს. ასეთ შემთხვევებში, როდესაც სააგენტო საკითხს საჩივრის საფუძველზე განიხილავს, როგორც უკვე აღინიშნა, მომჩივანს ეკისრება მტკიცების მაღალი ტვირთი და საკითხის განხილვა (მათ შორის საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზეც) მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ცვლის სააგენტოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პირობებში ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების ფარგლებსა და მოცულობას. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლების ცვლილება არ ნიშნავს იმას, რომ სააგენტო უარს ამბობს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის ფუნდამენტურ ვალდებულებაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სააგენტო შეისწავლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას, თუმცა შეჯიბრებითობის პრინციპისა და მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით

³ Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (ობ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), §11.

⁴ იქვე, § 12.

⁵ ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77. ობ. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61990TC0024>

⁶ ობ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 55.

განსაზღვრულ ჩარჩოში, მათ შორის საჩივრის მატერიალურ დასაშვებობაზე მსჯელობის ნაწილშიც.

როგორც უკვე აღინიშნა, საჩივარში საუბარია კანონის მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), მე-7 (კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) და მე-11³ (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე. ამდენად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა შეფასდეს საჩივარში დასმული საკითხის სამართლებრივი ხასიათი და მისი მიმართება კონკურენციის კანონმდებლობასთან. სააგენტომ უფლებამოსილების ფარგლებში უნდა გაანალიზოს მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მისი ანალიზის საფუძველზე იმსჯელოს კანონის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვის სტანდარტის არსებობაზე. ამასთან, სააგენტოსთვის, როგორც საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანოსთვის, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული რესურსის სწორად, ეფექტიანად და ეფექტურად მობილიზება ამ პოლიტიკის მიზნების მიღწევისათვის. შესაბამისად, გონივრული ეჭვის სტანდარტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონკურენციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის პროცესში, რაც, თავის მხრივ, სააგენტოს ანიჭებს გარკვეული ტიპის დისკრეციულ უფლებამოსილებას საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყების/არ დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობა სააგენტოს უდგენს ფორმალურ ვალდებულებას, მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ შემოსულ საჩივარზე, კერძოდ, შეაფასოს მათი ფორმალური და შემდგომში, მატერიალური დასაშვებობა. ამავდროულად, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონკურენციის კანონმდებლობა სააგენტოს ანიჭებს კონკურენციის პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებას. ეს კი გულისხმობს, საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, გონივრული ეჭვის სტანდარტის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებას მოკვლევის დაწყება/არდაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.

3.2 მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა და ფაქტობრივი გარემოებები

საჩივრის მატერიალურ დასაშვებობაზე მსჯელობისას, პირველ ეტაპზე, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ხასიათზე, რადგან საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი ინფორმაცია მიუთითებს მათ შორის არსებულ

სახელშეკრულებო (საიჯარო) ურთიერთობასა და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე წარმოშობილ მიმდინარე სასამართლო დავაზე.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ მომჩივანსა და მოპასუხეს - შპს „სიბიდი დეველოპმენტს“ შორის 2015 წლის 9 სექტემბერს გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება, რომლის პირობების გადახედვაც გარკვეული პერიოდულობით მხარეთა მიერ ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე ხდებოდა. ამასთან, შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მიერ ყურადღება გამახვილებულია ხელშეკრულების 24.6 მუხლზე, რომლითაც მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების ნებისმიერ დროს შეწყვეტა, გარკვეული პირობების დაცვით. შესაბამისად, როგორც მხარეების მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციიდან და მტკიცებულებებიდან ირკვევა, მოპასუხემ ისარგებლა ხელშეკრულების აღნიშნული ჩანაწერით და მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა. მხარეებს შორის აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო დავა, კერძოდ 2023 წლის მარტში, მომჩივანმა მიმართა სასამართლოს ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით, ხოლო ამავე დავის ფარგლებში, მოპასუხემ - შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ შეგებებული სარჩელის საფუძველზე, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და თანხის დაკისრება მოითხოვა.

საჩივარში ასევე ყურადღება გამახვილებულია შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მიერ განხორციელებულ კიდევ რამდენიმე ქმედებაზე, კერძოდ საიჯარო ფართის მიმდებარედ სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე, ელექტროენერჯის დროებით შეწყვეტასა და სარეკლამო აზრის დემონტაჟზე. საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და მხარეების მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციებიდან დგინდება, რომ ამ ქმედებებთან დაკავშირებით სასამართლომ, მიმდინარე დავის ფარგლებში, იმსჯელა და განჩინების საფუძველზე შპს „სიბიდი დეველოპმენტს“ აუკრძალა ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუშლიდა მომჩივანის სავაჭრო ობიექტის სრულფასოვან ფუნქციონირებას, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე. გარდა ამისა, მომჩივანი აპელირებს შპს „სიბიდი დეველოპმენტსა“ და შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“ შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებასა და სასამართლო დავის ფარგლებში წარმოდგენილ წერილზე, როგორც მხარეების უკანონო ქმედებაზე.

3.3 შეფასება კანონის მე-6, მე-7 და მე-11³ მუხლების სავარაუდო დარღვევებთან მიმართებით

მოცემულ შემთხვევაში, მართალია მომჩივანის მხრიდან დაკმაყოფილებულია საჩივრის ფორმალური დასაშვებობის კრიტერიუმები, თუმცა მომჩივანი წარმოდგენილ საჩივარში მხოლოდ ზოგად მითითებას აკეთებს კანონის მე-6, მე-7 და მე-11³ მუხლებზე. საჩივარში დეტალურად არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტული ქმედება/ქმედებები და მათი კავშირი აღნიშნულ მუხლებსა და მათ კონკრეტულ შემადგენლობებთან.

შესაბამისად, სააგენტომ უნდა შეამოწმოს საჩივარში დასმული საკითხის/საკითხების მიმართება თითოეულ დასახელებულ მუხლთან.

ა) შეფასება კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო პირველ რიგში ამოწმებს, მოკვლევის დასაწყებად საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები აკმაყოფილებენ თუ არა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა კი გულისხმობს, რომ საჩივარში მითითებული ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის რომელიმე ნორმას ან ნორმათა ერთობლიობას. სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმ მატერიალური ნორმის შემადგენლობის არსებობას, რომელიც შესაძლოა ირღვეოდეს საჩივარში მითითებული ქმედების შედეგად და რომელიც მომჩივანს აქვს სადავოდ გამხდარი საჩივრის ფარგლებში.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. მომჩივანი მხარე არ აკონკრეტებს, თუ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კანონის მე-6 მუხლით აკრძალულ რომელ კონკრეტულ ფორმას ჰქონდა ადგილი, ამიტომ სააგენტო დასაშვებობის ეტაპზე იმსჯელებს ზოგადად, მე-6 მუხლის შემადგენლობასა და მისი დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობის საკითხზე.

ამდენად, ასეთ დროს სააგენტოს მიერ დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად უმნიშვნელოვანესია სადავო ქმედების შინაარსისა და დავის საგნის იდენტიფიცირება.

დასაშვებობის ეტაპზე აუცილებელია არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა კანონის მე-6 მუხლის დისპოზიციასში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ:

- I. ქმედება ხორციელდება ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ;
- II. ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

ამდენად, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად

გამოყენებას. იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა ორივე ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა. აღნიშნულთაგან რომელიმე წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში კი ბუნებრივია, რომ სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა.

აღსანიშნავია, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის მიზანია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების ქცევის ჩარჩოებში მოქცევა და კონკურენციის სამართლის ეს მიმართულება არეგულირებს მსხვილი კომპანიების ერთპიროვნულ ქმედებებს. კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტი შესაძლოა იყოს მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი (ინდივიდუალური დომინანტობა) ან აგენტები (ჯგუფური დომინანტობა).

ხაზგასასმელია, რომ კანონის მე-6 მუხლით არ იზღუდება დომინანტური მდგომარეობის მოპოვება, არამედ აკრძალულია დომინანტი ეკონომიკური აგენტის ისეთი ცალმხრივი/ერთპიროვნული ქმედებები, რომლებიც მის ბოროტად გამოყენება ჩაითვლება. დომინანტური მდგომარეობის მოპოვება შესაძლებელია ჯანსაღი კონკურენციის პირობებშიც, თუკი შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი კონკურენტებზე ეფექტიანად დაგეგმავს საკუთარ საბაზრო სტრატეგიას. შესაბამისად, მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ქონა დარღვევას არ წარმოადგენს – დარღვევაა აღნიშნული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არის ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ერთპიროვნული ქცევა. სწორედ ქმედების ცალმხრივი ხასიათი განასხვავებს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებისგან, რომელიც წინაპირობად სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტის შეთანხმებულ ქცევას მოიაზრებს. შესაბამისად, თუ სახეზე არ არის კომპანიის „საკუთარი ინიციატივით“ „ერთპიროვნული“ ქმედება, არ არის კანონის მე-6 მუხლის შემადგენლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ მომჩივანის მითითებით, მოპასუხის მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გამოიხატება იმაში, რომ მოპასუხე შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ მომჩივანთან 2015 წლის 9 სექტემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა და შემდგომში ხელშეკრულება გააფორმა მის კონკურენტ კომპანიასთან.

საქმეში წარმოდგენილი გარემოებებითა და ინფორმაციით დგინდება, რომ მომჩივანსა და მოპასუხეს შორის სამართლებრივი ურთიერთობა დარეგულირებულია მათ შორის 2015 წლის 9 სექტემბერს დადებული საიჯარო ხელშეკრულებით, რომლის შეწყვეტის საკითხიც მოწესრიგებულია ამავე ხელშეკრულებით.

შესაბამისად, ცხადია, რომ მხარეებს შორის არსებობს კერძოსამართლებრივი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც მოიცავს სახელშეკრულებო საფუძველით წარმოშობილი ვალდებულების სამართლებრივ შინაარსს, იმ კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც მხარეებს ერთმანეთის მიმართ შეიძლება გააჩნდეთ.

სააგენტო განმარტავს, რომ კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა ან ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი საკითხები შესაძლოა, გახდეს სააგენტოს მიერ დაინტერესებისა და შესაბამისად, შეფასების საგანი, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების სადავო პირობები ან/და ხელშეკრულებიდან გამომდინარე კონკრეტული საკითხები, შესაძლოა, წარმოშობდეს „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვის საფუძველს.

ამ შემთხვევაში კი, მომჩივანის მიერ სადავოდ გამხდარი ქცევა, კერძოდ, მოპასუხე შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მიერ საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვეტა, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ვალდებულებით-სამართლებრივი შეფასების საგანს შესაბამისი ორგანოს მიერ (ამ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ), საკმარის საფუძველს უნდა იძლეოდეს კანონის მე-6 მუხლში ჩამოთვლილ აკრძალულ ქმედებათა შესაძლო მიკუთვნებადობასთან დაკავშირებით (ესეც იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებული იქნებოდა მოპასუხის მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა).

შესაბამისად, სააგენტო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე საკითხებს დასაშვებობის ეტაპისათვის შეაფასებს მხოლოდ კონკურენციის სამართლებრივი თვალსაზრისით, თუ რამდენად არსებობს გონივრული ეჭვი ამ ქმედებების მიმართ კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათის გათვალისწინებით.

მომჩივანსა და შპს „სიბიდი დეველოპმენტს“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების 24.6 მუხლით გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თანაბარი პირობა ორივე მხარისათვის, რაც უნდა განხორციელებულიყო გონივრული ვადით, კერძოდ, 6 თვით ადრე ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.⁷ აღნიშნული პერიოდი, განკუთვნილი იყო ერთი მხრივ, მოიჯარისათვის ალტერნატიული ფართის, ხოლო, მეორე მხრივ მეიჯარისთვის, შესაბამისი ალტერნატიული მოიჯარის მოძიებისათვის. შესაბამისად, მეიჯარემ 2022 წლის აგვისტოში გაუგზავნა შეტყობინება მოიჯარეს, რაც 2023 წლის თებერვლის თვიდან მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ როგორც წარმოების ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის შედეგად ირკვევა, 2015 წლიდან მოყოლებული მხარეთა შორის შეთანხმების შედეგად

⁷ შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ 2024 წლის 31 იანვრის N01/589 წერილით წარმოდგენილი დანართი 2015 წლის 9 სექტემბრის „იჯარის ხელშეკრულება“.

იცვლებოდა სახელშეკრულებო პირობებიც, კერძოდ, რამდენჯერმე შემცირდა ქირის გადასახადი, კოვიდ პანდემიის პერიოდში კი, ბიზნეს საქმიანობის შეუძლებლობის გამო მეიჯარემ დროებით შეაჩერა გადასახადების დარიცხვა მოიჯარისათვის.

მოპასუხის განმარტებით, მომჩივანი ხშირად არღვევდა სახელშეკრულებო პირობებს, მათ შორის, გადასახადის გადახდის ვადებს, რაც ჯამში გახდა ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

ამასთან, მოპასუხის განმარტებით, მომჩივანი, ერთი მხრივ არ ეთანხმება ხელშეკრულების შეწყვეტას, თუმცა აღნიშნული პოზიციის მიუხედავად, ის აღარ იხდის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გადასახადს და უფასოდ სარგებლობს შესაბამისი ფართით.

ხსენებული არგუმენტაციის პარალელურად, იმას, თუ რა გავლენა იქონია შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მიერ სახელშეკრულებო უფლების გამოყენებამ შესაბამის ბაზარზე კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ან აღკვეთის კუთხით, მომჩივანი მხარე ვერ ასაბუთებს. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომჩივანმა ვერ შეძლო სათანადო მტკიცებულებები წარმოედგინა გონივრული ექვის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, რაც საკმარისი იქნებოდა სააგენტოსთვის შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მხრიდან ძალაუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენების სადემონსტრაციოდ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, სახეზე არ არის სადავო ნორმის შემადგენლობა და კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის გონივრული ექვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

ბ) შეფასება კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

იმისათვის რომ დადგინდეს კანონის მე-7 მუხლის დარღვევას აქვს თუ არა ადგილი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სააგენტო აფასებს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული აღნიშნული მუხლის წინაპირობები. დასახელებული ნორმის წინაპირობები კი დაკმაყოფილებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტების ან აგენტთა ასოციაციის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მიღებულ გადაწყვეტილებას ან განხორციელებულ შეთანხმებულ ქმედებას, მიზნის ან/და შედეგის სახით აქვს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. ამასთანავე, როგორც უკვე

აღნიშნა, სადავო ქმედება შესაძლოა ჩადენილ იქნეს მინიმუმ ორი აგენტის მიერ განხორციელებული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებით.

კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით, უნდა შეფასდეს მომჩივანის მიერ სადავოდ გამხდარი 2023 წლის 7 თებერვლის იჯარის შეთანხმება, რომელიც დადებული იქნა მოპასუხე ეკონომიკური აგენტებს - შპს „სიბიდი დეველოპმენტსა“ და შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“ შორის.

კანონის მე-7 მუხლის ანალიზისა და სადავო ქმედებების შეფასებამდე, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიმართებაზე კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისადმი. სააგენტოს თავისი პრაქტიკით⁸ დადგენილი აქვს, თუ რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო თავისუფლების კერძოსამართლებრივ პრინციპს კონკურენციის საწინააღმდეგო ხელშეკრულებების/შეთანხმებების შეფასების პროცესში.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 319-ე მუხლი. კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.“ ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულების დადების თავისუფლება ასევე მოიცავს კონტრაქტის არჩევის თავისუფლებასაც. აღნიშნული დადასტურებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, რომელიც ხელშეკრულების თავისუფლებად მისი შინაარსის განსაზღვრას, ფორმაზე შეთანხმებასა და კონტრაქტის არჩევის შესაძლებლობას მიიჩნევს.⁹

სააგენტო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში არსებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ არის აბსოლუტური და აღნიშნული თავისუფლების ერთ-ერთ ზღვარს წარმოადგენს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც კონკურენციის საწინააღმდეგო ნებისმიერი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა თუ შეთანხმებული ქმედებისათვის აწესებს აკრძალვებს.

სააგენტო აღნიშნავს, რომ *დასაშვებობის ეტაპზე საჩივრის სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის, მათ შორის კონტრაქტის არჩევის თავისუფლების საკითხი სააგენტოს მიერ განიხილება იმის შესაფასებლად, ქმნის თუ არა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები/გარემოებები საკმარის საფუძველს იმის ვარაუდისა, რომ შესაძლოა,*

⁸ იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის N04/266 ბრძანებითა და 2023 წლის 29 დეკემბრის N 04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებები.

⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ივნისის Nსს-149-142-2013 განჩინება.

მოპასუხე მხარეების ქმედება უკავშირდება ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას ან/და აღკვეთას.

საქმეში არსებული გარემოებების მიხედვით, მას შემდეგ, რაც 2022 წლის აგვისტოში შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ გამოიყენა მასსა და მომჩივანს შორის 2015 წლის 9 სექტემბერს დადებული საიჯარო ხელშეკრულების 24.6 მუხლით მხარეებისათვის თანაბრად მინიჭებული უფლება - ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს მეორე მხარის თანხმობის გარეშე, ამავე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა, შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ თავის კონტრაქტს აღნიშნულის შესახებ აცნობა შესაბამის ვადაში - ხელშეკრულების შეწყვეტამდე 6 თვით ადრე.

აღნიშნულის შემდგომ კი, შპს „სიბიდი დეველოპმენტისათვის“, რელევანტური იყო შესაბამისი ბიზნეს საქმიანობა გაეგრძელებინა, მისი განმარტებით, უფრო სტაბილურ და რენტაბელურ კონტრაქტთან, ამ მიზნით კი დაიწყო ალტერნატიული მოიჯარის მოძიების პროცესი. სავაჭრო ცენტრ „ისთ პოინტის“ პოპულარობიდან გამომდინარე, შპს „სიბიდი დეველოპმენტს“ მოიჯარის მოძიების პრობლემები არ შეჰქმნია, შედეგად, შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯისთან“ მიღწეული კონსესუსის შედეგად, შეტყობინების 6 თვიანი ვადის დაცვით, 2023 წლის 7 თებერვალს ხელშეკრულებაც დაიდო ამ უკანასკნელთან, რომელსაც საიჯარო ფართი 2023 წლის 20 მარტს უნდა გადასცემოდა.

მომჩივანი საჩივრის ფარგლებში მიუთითებს ორ მტკიცებულებაზე, რომლებიც მისი პოზიციით მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობაზე უნდა მიუთითებდნენ: 1. მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება - სააგენტო განმარტავს, რომ თავისთავად ნებისმიერი სახის სამოქალაქო სამართლებრივი, მათ შორის საიჯარო სამართლებრივი ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულების არსებობა, ვერ გამოდგება არგუმენტად ამავე ურთიერთობაში მყოფ კომპანიებს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის სასარგებლოდ. 2. შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ დირექტორის მიერ 2023 წლის 20 მარტს გაგზავნილი წერილი შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯისთან“ - ამავე წერილში შემდეგი ტექსტია წარმოდგენილი: „გაცნობებთ, რომ 2023 წლის 10 თებერვალს, ზემოთ მოცემულ ფართზე, ცალმხრივად შევწყვიტეთ აღნიშნულ თარიღამდე მოქმედი იჯარის ხელშეკრულება, ამავე ფართის შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯი“-სათვის გადაცემის მიზნით.“ მომჩივანის პოზიციით, აღნიშნული ტექსტიდან იკითხება შემდეგი გარემოება - შპს „სიბიდი დეველოპმენტმა“ მხოლოდ იმიტომ შეწყვიტა საიჯარო ურთიერთობა მასთან, რომ საიჯარო ფართი გადაეცა შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯი“-სთვის. თავის მხრივ მოპასუხის პოზიციით, მომჩივანი ამავე ტექსტის დამახინჯებულად ინტერპრეტირებას ახდენს. სააგენტო აღნიშნავს, რომ წერილის ტექსტის შინაარსი არ მიუთითებს მომჩივანის მიერ ხსენებული გარემოების არსებობაზე, არამედ მოცემულ შემთხვევაში შემდეგი ვითარება იკვეთება - ფართის მესაკუთრემ ცალმხრივად შეწყვიტა საიჯარო ურთიერთობა მოიჯარესთან. ცხადია, რომ ახალი მოიჯარის მოძიების შემთხვევაში აუცილებელია ამ

უკანასკნელისთვის შესაბამისი საიჯარო ფართის გადაცემაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ფართის მესაკუთრე ვერ შეასრულებს საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე მის ძირითად ვალდებულებას საიჯარო ფართის მოიჯარისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. სააგენტო მიუთითებს, რომ ნორმალური სავაჭრო, კომერციული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია წერილის ტექსტის ის შინაარსი, რომლითაც ეკონომიკური აგენტი ახალ მოიჯარეს ატყობინებს არსებული საიჯარო სამართლებრივი ურთიერთობის სტატუსის შესახებ - კერძოდ, ეს ურთიერთობა შეწყვეტილია კონკრეტული თარიღიდან, საიჯარო ფართის ახალი მოიჯარისათვის გადაცემის მიზნით. შპს „სიბიდი დეველოპმენტის“ მხრიდან მიწერილი წერილის შინაარსი სრულად შეესაბამება ნორმალურ ბიზნეს პრაქტიკას, რომელსაც ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი შეიძლება ახორციელებდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოში საჩივრის წარმოდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი აწევს მომჩივან მხარეს, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან და მტკიცებულებებიდან გამომდინარე, არ წარმოდგენილა ისეთი მტკიცებულება, რომელიც შპს „სიბიდი დეველოპმენტს“ და შპს „ეი ბი სი - ტელეკომ ჯის“ შორის დადებული ხელშეკრულების, როგორც კონკურენციის არამართლზომიერად შემზღვეველ ან გამომრიცხველ ხასიათთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის შესაბამის საფუძველს შექმნიდა.

კერძოდ, მხარე ვერანაირი მტკიცებულებით/ფაქტებით ვერ ასაბუთებს რომ საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტასა და ახალი კონტრაქტის შერჩევას კონკურენციის საწინააღმდეგო მიზანი ან/და შედეგი გააჩნდა, ხოლო მხოლოდ მხარის განცხადება, რომ დადებული ხელშეკრულება კონკურენციის საწინააღმდეგოა, ვერ იქნება გონივრული ეჭვის საკმარისი საფუძველი კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ აკრძალულ შეთანხმებებს შესაძლო მიკუთვნებადობასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი მე-7 მუხლის ნაწილში ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს, კერძოდ, არ არსებობს სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

გ) შეფასება კანონის მე-11³ მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

კანონის მე-11³ მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და

მომხმარებელთა ინტერესებს. ამავდროულად, მუხლი განსაზღვრავს ქმედებების კონკრეტულ შემადგენლობებს. შესაბამისად, კანონის მე-11³ მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

- i. ქმედება
- ii. ქმედების საქმიანი ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო ხასიათი;
- iii. ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;
- iv. ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.¹⁰

ქმედება - კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულია იმ ქმედებათა არაამომწურავი ჩამონათვალი („ა-ზ“ ქვეპუნქტების სახით), რაც შეიძლება განხილულ იქნეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონტექსტში.

წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან - კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა.¹¹

კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული

¹⁰ სააგენტოს არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტებული აქვს აღნიშნული პირობების შინაარსი. მაგ. იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 20 სექტემბრის N 04/193 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 19-20, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/87c9818b95114c9496e8f20f5db5f823.pdf

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1184-1145-2016, 17.02.2017.

ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

მომხმარებელთა ინტერესების შელახვა - კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“, მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ“ (მუხლი 2(a)).¹²

მოცემულ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტებიდან ერთ-ერთ მათგანზე - „კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვაზე“. კერძოდ, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შპს „სიბიდი დეველოპმენტი“ საიჯარო ფართის მიმწოდებელია მომჩივანისათვის. შესაბამისად, მიუხედავად იმისა თუ როგორი შეიძლება იყოს ჰორიზონტალური შესაბამისი ბაზრის ზუსტი საზღვრები, მოპასუხე - შპს „სიბიდი დეველოპმენტი“ ნებისმიერი საზღვრის მქონე ზედა დონის ბაზრის, ხოლო მომჩივანი კომპანია ნებისმიერი საზღვრის მქონე ქვედა დონის ბაზრის სუბიექტია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების და დამატებით მოძიებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ მომჩივანის მიერ დასახელებული მოპასუხე შპს „სიბიდი დეველოპმენტი“ არ წარმოადგენს მის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს. შესაბამისად, აღნიშნული მოცემულობა არ შეესაბამება კანონის მე-11³

¹² ანალოგიური მიდგომა გამოყენებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186, 2016 წლის 28 მარტის №41 და 2022 წლის 20 სექტემბრის №04/193 ბრძანებებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებებში.

მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციას, კერძოდ სახეზე არ არის კანონის მე-11³ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა - „კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვა“.

სააგენტოს შეფასებით, არსებული ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, აღარ დგას მომჩივანის მხრიდან სადავოდ გამხდარი, კონკრეტული ქმედების შეფასების საჭიროებაც, ვინაიდან კანონის მე-11³ მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული ზემოხსენებული ელემენტის არარსებობა უკვე შეუძლებელს ხდის ამ ქმედების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონტექსტში განხილვას და დარღვევის დადასტურებას.

3.4 შუალედური დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთების ვალდებულება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივანის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზით ადგენს აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6, მე-7 და მე-11³ მუხლებთან მიმართებით მომჩივანმა ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა მტკიცების ტვირთი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17¹ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. დაუშვებლად იქნას ცნობილი შპს „მეტრომარტის“ (ს/ნ: 401975662) 2024 წლის 04 იანვრის N01/18 საჩივარი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს.
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

